ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 3
05/02/2016

3-08-4-201602051711

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაილების წესი“, დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმის ცვლილების ცნობის ტიპური ფორმა, დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების დაზუსტების და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილების წესი, კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრები) შემოსავლებით მიღებული სახსრების ნაწილში“ დანართი 3-ის შესაბამისად.

მუხლი 4.

ძალდაკარგულად გამოცხადდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის კოდებსა და მუხლებს შორის

გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 7 ივლისის N2 დადგენილება.

მუხლი 5.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა